საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

# თანასწორობა ჩვენი უფლებაა და უნდა იყოს ჩვენი მომავალი

## ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**

# თანასწორობა ჩვენი უფლებაა და უნდა იყოს ჩვენი მომავალი

**ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში**

**თბილისი**

**2022**

**გამოცემის ხელმძღვანელი: მარიამ სვიმონიშვილი**

**ავტორი: გვანცა საკანელაშვილი**

## შესავალი

ყველა ქალისა და გოგონას უფლებაა, იყოს დაცული ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან, თანასწორად ისარგებლოს სამოქალაქო/პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით. მიუხედავად კანონით გარანტირებული, ფუნდამენტალური უფლებებისა, საქართველოში ბევრი ქალი და გოგონა კვლავ განიცდის ძალადობის და გენდერული უთანასწორობის სხვადასხვა ფორმას. მრავალი წელია, უფლებადამცველი ორგანიზაციები, აქტივისტები იბრძვიან ქალთა უფლებებისთვის, თანასწორობისთვის, თუმცა მიმდინარე წლის განმავლობაში კვლავ გამოვლინდა ქალთა უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევები.

***საქართველოში ქალები და გოგონები ხშირად აწყდებიან უფლებების დარღვევის სერიოზულ ფორმებს, როგორიცაა ფემიციდი, სექსუალური შევიწროება, სქესობრივი ძალადობა, ოჯახში ძალადობა, იძულებითი და ნაადრევი ქორწინება, განათლების უფლების შეზღუდვა.*** წლების განმავლობაში იზრდება ამ უკანასკნელის სტატისტიკური მონაცემები. სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების გადამზადების მიუხედავად, კვლავ განსაკუთრებით ***პრობლემურია სქესობრივი დანაშაულის დროული და ეფექტიანი გამოძიება.*** ამგვარ დანაშაულებზე მართლმსაჯულება ხშირ შემთხვევაში მოძველებული მეთოდოლოგიით მიმდინარეობს, რაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა.[1] მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, კვლავ ***არ გაზრდილა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ქალი ექსპერტების ოდენობა.***

## ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობის ზრდა პანდემიის დროს მსოფლიო მასშტაბის გამოწვევად იქცა ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით. COVID-19-ის გავრცელების წინააღმდეგ მიღებული ზომების დასაცავად მოსახლეობის სახლში დარჩენის მოთხოვნის შედეგად, მოძალადისა და მსხვერპლის ერთ სივრცეში ხანგრძლივი პერიოდით ყოფნა ოჯახში ძალადობის ფონს რომ დაამძიმებდა, ამაზე ორგანიზაციები პანდემიის დასაწყისიდანვე ვსაუბრობდით.[2] ამ კრიზისული ვითარების პირობებში ოჯახში ძალადობის შემთხვევები მსოფლიო მასშტაბით ერთი მესამედით გაიზარდა,[3] საქართველოში კი ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოვლენის ოფიციალური მაჩვენებელი, როგორც ოჯახში ძალადობის კუთხით სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყების, ასევე ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შემაკავებელი ორდერების

---

[1] არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, "სამოქალაქო ორგანიზაციები ქობულეთში 14 წლის მოზარდის თვითმკვლელობის უმძიმეს საქმეს ეხმიანებიან", 2021 წელი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qnWD6e [ბოლო ნახვა 06.03.2022].

[2] ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიმართვა სახელმწიფო უწყებებს, 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3INR5fo [ბოლო ნახვა 06.03.2022].

[3] European Parliament, "COVID-19: Stopping the rise in domestic violence during lockdown", 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35PvbcY [ბოლო ნახვა 06.03.2022]. UN Women, "COVID-19 and Ending Violence Against Women and Girls", 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Cpjje4 [ბოლო ნახვა 06.03.2022].

გამოცემის თვალსაზრისით, შემცირდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2021 წელს ***სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე[4] გამოძიების დაწყების მაჩვენებელი 8.4%-ითაა შემცირებული.***[5] ***ხოლო შემაკავებელი ორდერების გამოცემა 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, დაახლოებით 9%-ით შემცირდა.*** 2020 წელს შსს-ის მიერ გამოცემული იყო 10321 შემაკავებელი ორდერი,[6] ხოლო 2021 წელს ამ რიცხვმა 9376 შეადგინა.[7] შემაკავებელი ორდერების გამოცემის სტატისტიკური მონაცემების კლების ფონზე აღსანიშნავია, რომ ***2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, გაიზარდა (38%-ით) სექსუალური ძალადობის გამო გამოცემული შემაკავებელი ორდერების მაჩვენებელი.***[8]

ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემების შემცირებამ, შეიძლება ითქვას, გაამართლა ქალთა უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციების შიშები, რომ პანდემიის დროს სახელმწიფოს უმოქმედობა, მსხვერპლებისთვის პანდემიასთან ადაპტირებული სერვისების შეუთავაზებლობა შეამცირებდა მათთვის ოჯახში ძალადობისგან თავის დაცვასა და სათანადო მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

## ფემიციდი

ფემიციდი არის გენდერული დანაშაული, რომელიც სტრუქტურული უთანასწორობის, დაქვემდებარებულობისა და ქალთა მიმართ ძალადობის ზოგადი კონტექსტის ნაწილია.[9] ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მოსაზრებით, გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის - „ფემიციდის“ ყოველწლიური შემთხვევები აჩვენებს სახელმწიფოს მხრიდან პრევენციულ ღონისძიებებზე ორიენტირებული პოლიტიკის სისუსტეს.[10]

---

[4] აღნიშნული მუხლი დასჯადად აცხადებს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, სისტემატური შეურაცხყოფას, შანტაჟს ან დამცირებას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35VhFol [ბოლო ნახვა 06.03.2022].

[5] შინაგან საქმეთა სამინისტრო, რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3twdTd8 [ბოლო ნახვა 06.03.2022].

[6] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები), 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36URVc0 [ბოლო ნახვა 06.03.2022].

[7] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები), 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35PvX9S [ბოლო ნახვა 06.03.2022].

[8] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოჯახში ძალადობის სახეების სტატისტიკა, 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Clayl8 [ბოლო ნახვა 06.03.2022]; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოჯახში ძალადობის სახეების სტატისტიკა, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MwkFZ9 [ბოლო ნახვა 06.03.2022].

[9] საიას კვლევა, ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, 2016 წელი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OuUVCE [ბოლო ნახვა 06.03.2022].

[10] საიას შეფასება ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3q218Gr [ბოლო ნახვა 06.03.2022].

ფემიციდის სტატისტიკა, სახალხო დამცველის მონაცემებზე[11] დაყრდნობით, მიმდინარე წელს მკვეთრად არ გაზრდილა, თუმცა კვლავ საგანგაშო ციფრებს აღწევს. ***2021 წლის 9 თვის განმავლობაში (იანვარი - სექტემბერი) 13 ქალის მკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა,*** საიდანაც 5 შემთხვევაში ოჯახური დანაშაულის ნიშანი გამოიკვეთა, ხოლო 8 შემთხვევაში - სხვა მოტივი.[12] მიმდინარე წელს, ასევე ***20 ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტი გამოვლინდა,*** რომელთაგანაც ოჯახური დანაშაულის ნიშნით 11 ფაქტი იყო ჩადენილი.[13] სახელმწიფოში კვლავ არ არსებობს ფემიციდის პრევენციის ეფექტიანი და კოორდინირებული პოლიტიკა. ქალთა და გოგონების მიმართ ფემიციდის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია პრაქტიკული გამოწვევების იდენტიფიცირება და სისტემური მიდგომების შემუშავება, სამართლებრივი და პრაქტიკული რეაგირების ადრეული და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის განსაზღვრა.

## სქესობრივი ძალადობა

სქესობრივი ძალადობა, კვლავ რჩება გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე, ყველაზე დაფარულ და დაუსჯელ ფორმად. არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობისთვის ეფექტიან, დაზარალებულზე ორიენტირებულ, გენდერულად მგრძნობიარე სამართლებრივ მექანიზმებს. ძალადობა გამოვლილი ქალებისთვის მართლმსაჯულება ხელმიუწვდომელი ან/და რთულად ხელმისაწვდომია.[14]

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, დადებითად აღსანიშნავია, რომ სექსუალური ძალადობის შემთხვევების როგორც გამოვლენა, ასევე რეგისტრირებული დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაზრდილია. ***2021 წელს, 2020 წელთან შედარებით სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული რეგისტრირებული დანაშაულის შემთხვევები თითქმის 55%-ით, ამ დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი კი 8 პროცენტითაა მომატებული.***[15]

სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოსგან მოითხოვს ასეთ დანაშაულებთან მიმართებაში პრევენციული სამუშაოების გაძლიერებას. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი უწყებების მხრიდან სწრაფ, ეფექტიან გამოძიებას და სავარაუდო მსხვერპლისთვის სათანადო სერვისების მიწოდებას. მსხვერპლებისთვის სათანადო სერვისებით უზრუნველყოფა მოიცავს ასევე სავარაუდო დანაშაულის გათვალისწინებით ექსპერტიზის დროულ ჩატარებასაც. ამ მხრივ კი, გასული წლების

[11] საქართველოს სახალხო დამცველი, განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღისადმი, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HEJU7X [ბოლო ნახვა 06.03.2022].
[12] იქვე
[13] *იქვე.*
[14] საიას შეფასება ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3q218Gr [ბოლო ნახვა 06.03.2022].
[15] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა, 2020-2021 წლის მონაცემები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vKGCNR , [ბოლო ნახვა: 06.03.2022].

მსგავსად, კვლავ ***პრობლემურია სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ქალი ექსპერტების არასაკმარისი ოდენობა.*** გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, 2022 წლისთვის სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში დასაქმებული ***221 ექსპერტიდან 59 ექსპერტია მდედრობითი სქესის.***[16] ***არც ერთი მდედრობითი სქესის ექსპერტი ბიუროს არ ჰყავს ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში და კახეთში.***[17]

## სექსუალური შევიწროება

სექსუალური შევიწროება აღიარებულია, როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის ერთ-ერთი ფორმა. სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ შესაბამისი ზომები ქალების სექსუალური შევიწროების და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების აღმოსაფხვრელად ყველა სფეროში, მათ შორის კანონის წინაშე თანასწორობის, მმართველობასა და პოლიტიკაში, სამუშაო ადგილზე და საჯარო სივრცეში, განათლების, ჯანდაცვის და საზოგადოებრივი თუ სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში.[18]

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებათა პაკეტი,[19] რომლითაც რეგულაციები დაწესდა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების კუთხით. ამ ცვლილებებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 166[1] მუხლი, რომლის მიხედვით სექსუალური შევიწროება არის საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

საქართველოში ***2021 წლის 10 თვის მონაცემებით საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტებზე შედგენილია 26 სამართალდარღვევის ოქმი.***[20] სექსუალური შევიწროების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირებულია თბილისში. სასამართლო სექსუალური შევიწროების საქმეებზე სახდელის სახით ძირითადად იყენებს ჯარიმას სხვადასხვა ოდენობით.[21] სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სექსუალური შევიწროებისას ჩახუტება, კოცნის მცდელობა, მკერდზე შეხება სასამართლოს მხრიდან მიჩნეულია მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედებად, რომელსაც არ შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება დაზარალებულისთვის.[22]

---

[16] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილი N 5001093522, 2022.
[17] *იქვე*,
[18] United Nations, "Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women", P. 7-16, 1979. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oPqB4u [ბოლო ნახვა: 06.03.2022].
[19] საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტთა პაკეტი, სექსუალური შევიწროების აკრძალვის შესახებ რეგულაციების შემოღება, 2019. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3x1cpJj [ბოლო ნახვა: 06.03.2022].
[20] საკანელაშვილი გ., ედიშერაშვილი ი., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში", 2021, 7, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3tAheb9 [ბოლო ნახვა 06.03.2022].
[21] *იქვე*. გვ.7
[22] *იქვე*. გვ.7

სექსუალური შევიწროების შემთხვევებთან ბრძოლა უნდა დაიწყოს მსგავსი ფაქტების პრევენციისკენ მიმართული მაქსიმალური ძალისხმევით. გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლისა და სექსუალური შევიწროებისადმი ნულოვანი ტოლერანტობის ხელშეწყობის ცნობიერების ამაღლების კამპანიები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტების შესამცირებლად და საბოლოოდ აღმოსაფხვრელად.

სექსუალური შევიწროების საქმეებში სამართალდამრღვევები არიან მამაკაცები, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა გენდერული თანასწორობის საგანმანათლებლო კამპანიებში.[23] ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები გოგონებისა და ქალების მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით უნდა იყოს ორგანიზებული განათლების საწყის ეტაპებზე. განათლება გენდერული თანასწორობის შესახებ, ყველა დონეზე, არის ფუნდამენტური ინსტრუმენტი ქცევის ამ ფორმების თავიდან აცილებისა და აღმოსაფხვრელად და სექსიზმისა და სექსუალური შევიწროების მიმართ კულტურული ტოლერანტობის შესამცირებლად.

## განათლების უფლების რეალიზება

საერთაშორისოდ აღიარებულია ყველასთვის ხარისხიანი განათლების თანაბარი უფლება. სახელმწიფოებს აქვთ სამართლებრივი ვალდებულებები, მოხსნან ყველა დისკრიმინაციული ბარიერი, იქნება ეს კანონში თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში, და მიიღონ პოზიტიური ზომები განათლების საყოველთაოდ ხელმისაწვდომობისთვის.

დღეს უფრო მეტი გოგო დადის სკოლაში, ვიდრე ოდესმე.[24] თუმცა, ***პროგრესის მიუხედავად, განათლების უფლების კუთხით ქალები და გოგონები კვლავაც აწყდებიან მრავალ ბარიერს სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე.***[25] სათანადო და სრულყოფილი განათლების მიღებისთვის ხელის შემშლელი ბარიერებია:

1. მავნე და არასწორი გენდერული სტერეოტიპები;
2. გენდერული ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ;
3. ბავშვთა ქორწინება, ადრეული და არასასურველი ორსულობა;
4. ინკლუზიური და ხარისხიანი სასწავლო გარემოს ნაკლებობა, არაადეკვატური და სახიფათო საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, სანიტარიული პირობები;
5. სიღარიბე.[26]

სრულყოფილი განათლების მიღების ბარიერები არც საქართველოში მცხოვრები არასრულწლოვანი გოგონებისთვისაა უცხო. გოგონების მხრიდან სწავლის მიტოვების

[23] *იქვე.* გვ.12
[24] The Right to Education, Barriers to girls' education, 2022. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/376KgaM [ბოლო ნახვა 06.03.2022].
[25] *იქვე.*
[26] *იქვე.*

მიზეზებად განათლების სამინისტროს მიერ უმეტესწილად მოსწავლის დაოჯახება, სკოლიდან გაყვანის შესახებ მშობლის, მეურვის ან მოსწავლის განცხადება, მუშაობის დაწყება სახელდება.[27] ***2021 წელს სწავლა 520 გოგომ შეწყვიტა, მათ შორის დაოჯახების გამო - 19, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/მოსწავლის განცხადებით - 455, მუშაობის დაწყების გამო - 46.***[28]

## რეკომენდაციები

- შეიქმნას პრევენციის სისტემური მექანიზმი, რომელიც დაგეგმავს პრევენციული ღონისძიებების გატარებას - ქალთა თანასწორუფლებიანობის მიმართულებით, მათ შორის შემდეგ საკითხებზე: ფემიციდი, სექსუალური შევიწროება, სქესობრივი ძალადობა, ოჯახში ძალადობა, განათლების უფლების ხელმისაწვდომობა;
- განხორციელდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები ოჯახური ძალადობის, სქესობრივი ძალადობის, სექსუალური შევიწროების, ფემიციდის, ნაადრევი და იძულებითი ქორწინების შესახებ შეტყობინების გზების, ასევე დისტანციური სერვისების და პროგრამების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია მსხვერპლთათვის, განსაკუთრებით რეგიონებში;
- საჯარო სივრცეებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში განთავსდეს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების შესახებ ინფორმაცია;
- დამონტაჟდეს/გაიზარდოს ვიდეო კამერები საზოგადოებრივ ტრანსპორტში და გაუმჯობესდეს განათება საჯარო სივრცეებში;
- სახელმწიფომ მიიღოს ზომები ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ქალი ექსპერტების რაოდენობის გასაზრდელად, განსაკუთრებით რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით;
- შეფასდეს გოგონების მიერ სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებლის გამომწვევი მიზეზები და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, გადაიდგას სათანადო ნაბიჯები სწავლის შეწყვეტის რისკების შესამცირებლად.

[27] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი N MES 7220000177265, 2022.
[28] *იქვე.*